პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 256 (6311) 31 დეკემბერი 1978 წ. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ახალი მწვერვალებისაკენ!

კიდევ ერთი დღეც და ისტორიის კუთვნილება გახდება 1978 წელი — ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის, მრავალი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში თვალსაჩინო წარმატებების წელიწადი.

შთამბეჭდავია მიღწევები სპორტშიც. საერთაშორისო ასპარეზზე, კერძოდ მსოფლიო ჩემპიონატებში საბჭოთა ათლეტებმა 52 ოქროს მედალი მოიპოვეს. უმაღლესი ღირსების 42 ჯილდო ზაფხულის, ხოლო 10 — ზამთრის ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელთა ანგარიშზე მოდის.

1978 წელი აღინიშნა საბჭოთა მოჭადრაკეთა ტრიუმფით — მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი დაიდგეს 17 წლის თბილისელმა სტუდენტმა მაია ჩიბურდანიძემ და 27 წლის ლენინგრადელმა ა. კარპოვმა.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მსოფლიოს ჩემპიონატში 7 ოქროს, 7 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. 26 წლის ნ. ანდრიანოვმა საბჭოთა ტანვარჯიშს 12 წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული. მას ღირსეულად ამოუდგა გვერდით 18 წლის მოსკოველი ე. მუხინა.

საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ტანმოვარჯიშეების წარმატებები ტრადიციულია, მაგრამ 1978 წელი საბჭოთა მოცურავეებისთვის [illegible]რიტად „საზეიმო" გამოდგა. მათ დიდ ტურნირებში არასოდეს მიუღიათ ჯილდოების ასეთი უხვი „მოსავალი" — 4 ოქრო, 4 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი.

სწორედ ცურვამ მოგვცა საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველაზე ნორჩი მსოფლიოს ჩემპიონი. ესაა 14 წლის ლენინგრადელი მოსწავლე ი. ბოგდანოვა, რომელმაც ყველას აჯობა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში.

6-6 ოქროს მედალი დაისაკუთრეს თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა, ხოლო 5 — ძალოსნებმა.

სსრ კავშირის ჰოკეისტებმა მეთხუთმეტედ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა.

თავისებური რეკორდის მფლობელი გახდა ფიგურული სრიალის ოსტატი მოსკოველი ი. როდნინა: მან მეათედ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის ტიტული, ხოლო მისმა პარტნიორმა ა. ზაიცევმა — მეექვსედ...

სასიკეთო და მრავლისმეტყველი ძვრებით აღინიშნა 1978 წელი საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ბიოგრაფიაში. განსაკუთრებით სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ უკვე ხელშესახები გახდა შედეგები, რაც ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებებს. ბევრი რამ გაკეთდა სპორტული ბაზების მშენებლობის პრობლემის გადაჭრის გზაზე, ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარების, საერთო ფიზკულტურული მოძრაობის გამოცოცხლებისთვის. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი წარმატებები დიდ სპორტში — გამარჯვებანი საკავშირო და საერთაშორისო არენაზე.

საქართველოს სპორტსმენებმა 1978 წელს — საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში უმაღლესი ხარისხის 23 მედალი მოიპოვეს, რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის რამდენიმე თასი ჩამოიტანეს. ეს მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია 1977 წლის სეზონის მაჩვენებლებთან შედარებით.

ამ 23 ლაურეატს შორისაც არიან ლიდერები, რომლებმაც რესპუბლიკის სპორტული ნადავლის ყულაბაში 2-2 „ოქრო" შეიტანეს.

ყველაზე დიდ წარმატებას მაინც 17 წლის მაია ჩიბურდანიძემ მიაღწია. მან ჯერ დედოფლის გვირგვინისთვის ბრძოლაში მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვება, მერე კი მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ოლიმპიადაში თანამემამულეებთან ნ. გაფრინდაშვილთან, ნ. ალექსანდრიასთან და კრასნოიარსკელ ე. ახმილოვსკაიასთან ერთად კიდევ ერთი ოქროს მედალი დაიმსახურა.

გასულ სეზონში ორ-ორი ოქროს მედალი მიიღეს მოჭიდავე ვ. ბლაგიძემ, ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა, მესტენდურე თ. იმნაიშვილმა. ბლაგიძის უმაღლესი ხარისხის ნადავლიდან ერთი ევროპის ჩემპიონობისათვისაა მიკუთვნებული, მეორე — მსოფლიოში უძლიერესის სახელის მოპოვებისთვის, მეტრეველმა და იმნაიშვილმა კი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიგეს.

სულ საქართველოს სპორტსმენებმა მსოფლიოს ჩემპიონის 5 და ევროპის ჩემპიონის ამდენივე მედალი ჩამოიტანეს.

ბლაგიძის, მეტრეველისა და იმნაიშვილის გარდა კონტინენტის პირველობაში შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწიეს მშვილდოსანმა ქ. ლოსაბერიძემ და მოჭიდავე ლ. თედიაშვილმა, ხოლო საკავშირო პირველობაში უძლიერესნი გახდნენ მძლეოსნები ვ. სანეევი და ს. გუმბა, მოკრივე ა. ხიზანიშვილი, მაგიდის ჩოგბურთელი ს. სარხოიანი, ჩოგბურთელები ა. მეტრეველი და თ. კაკულია, მესტენდურეები ტ. ულენტი და თ. იმნაიშვილი, ცხენოსანი მ. კიკიანი, ტანმოვარჯიშე მ. თათარაძე, ძიუდოისტები ბ. გოგიჩაიშვილი და თ. ნამგალაური. საკავშირო ჩემპიონატების ნამდვილი მშვენება იყო თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ასე ნანატრი გამარჯვება.

საქართველოს სპორტსმენების მიერ სეზონში მოპოვებული საკავშირო თასებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა, თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტების, წყალში მხტომელების ლ. ცოტაძისა და ს. შალიბაშვილის ჯილდოები.

სასიხარულოა, რომ ამ ლაურეატთა დიდი უმრავლესობა საკავშირო ხალხთა სპარტაკიადის სახეობების წარმომადგენლები არიან და უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი თანაგუნდელებთან ერთად 1979 წელსაც გააგრძელებენ გამარჯვების გზით სვლას...

• • •

კიდევ ერთი დღეც და შემობრძანდება ახალი, 1979 წელი — ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისთვის, სპორტსმენთათვის განსაკუთრებული — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის წელი, მოსკოვის XXII თამაშების წინაოლიმპიური წელიწადი.

10 და 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტკომიტეტმა შეაჯამა 1978 წლის სეზონში რესპუბლიკის [illegible] ვარი, მწვრთნელთა მუშაობის დონე და [illegible] სპორტსმენი და 5 საუკეთესო მწვრთნელი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

აი ისინიც (ანბანის მიხედვით):

10 საუკეთესო სპორტსმენი: ვ. ბლაგიძე (კლასიკური ჭიდაობა), ს. გუმბა (შუბის ტყორცნა), ქ. ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა), მ. მაჩაიძე (ფეხბურთი), ა. მეტრეველი (ჩოგბურთი), მ. თათარაძე (ტანვარჯიში), ლ. თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ვ. სანეევი (სამხტომი), რ. შენგელია (ფეხბურთი), მ. ჩიბურდანიძე (ჭადრაკი),

5 საუკეთესო მწვრთნელი: ნ. ახალკაცი (ფეხბურთი), თ. ბენდიაშვილი (რეგბი), ი. გიგაური (მძლეოსნობა), ი. გუტიაკულოვი (წყალში ხტომა), ო. მიქელაძე (ტანვარჯიში).

ჟურნალისტებმა დაასახელეს

მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში 17 წლის **მაია ჩიბურდანიძე** დაასახელეს საქართველოს 1978 წლის საუკეთესო სპორტსმენად. ტრადიციული საახალწლო ანკეტის მონაწილე ყველა სპორტულმა ჟურნალისტმა პირველი ადგილი მას მიაკუთვნა.

რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში შევიდნენ:

2. **ვახტანგ ბლაგიძე** (კლასიკური ჭიდაობა),
3. **ქეთევან ლოსაბერიძე** (მშვილდოსნობა),
4. **მანუჩარ მაჩაიძე** (ფეხბურთი),
5. **ნონა გაფრინდაშვილი** (ჭადრაკი),
6. **რამაზ შენგელია** (ფეხბურთი),
7. **ალექსანდრე მეტრეველი** (ჩოგბურთი),
8. **ლევან თედიაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა),
9. **ამირან ხიზანიშვილი** (კრივი),
10. **ვიქტორ სანეევი** (მძლეოსნობა).

წლის სპორტსმენებს შორის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, ჟურნალისტებმა დაასახელეს აგრეთვე ფეხბურთელები **დავით ყიფიანი**, **ვახტანგ ქორიძე** და **ვლადიმერ გუცაევი**, ჩოგბურთელი **თეიმურაზ კაკულია**, შუბის მტყორცნელი **საიდა გუმბა**, მოჭადრაკეები **ნინო გურიელი**, **ნანა იოსელიანი** და **ნანა ალექსანდრია**, ტანმოვარჯიშე **მალხაზ თათარაძე**, მსროლელი **თამაზ იმნაიშვილი**, მოჭადრაკე **თამაზ გიორგაძე** და სხვები. (საქინფორმი).


მ. ჩიბურდანიძე


ვ. ბლაგიძე

ქ. ლოსაბერიძე

მ. მაჩაიძე


ნ. გაფრინდაშვილი


რ. შენგელია


ა. მეტრეველი

ლ. თედიაშვილი


ა. ხიზანიშვილი


ვ. სანეევი

„განთიადის" საქალაქო კონფერენციაზე

ზრუნვას შედეგი მოჰყვა

საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზი განსაკუთრებით გაესვა მოსახლეობის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების კიდევ უფრო ამაღლების აუცილებლობას. მერე ეს ზრუნვა საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაშიც აისახა. ყველა ამან ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე დასახა უფრო გლობალური ამოცანები — ყველაფერი გააკეთონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული საქმიანობის სრულყოფისათვის.

ამ და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებების შესრულებისთვის იბრძოდა „განთიადის" თბილისის საქალაქო საბჭო, რომლის ხელმძღვანელობა ამ დღეებში გამართულ X კონფერენციაზე შეკრებილთა წინაშე ორწლიანი მუშაობის ანგარიშით წარსდგა.

„განთიადის" 112 ფიზკულტურულ კოლექტივში საზოგადოების 60 ათასამდე წევრი და 47 ათასზე მეტი ფიზკულტურელია. ეს დიდი მასაა. მის გაძღოლას საქალაქო საბჭო აქტივის, ფიზკულტურის ინსტრუქტორების, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების დარაზმვით ახერხებდა. მათ საერთო ძალით შეძლეს, რომ კოლექტივებისა და ფიზკულტურელთა, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და თანრიგოსან-სპორტსმენთა რიგების ზრდაში საგრძნობი წარმატებები მოეპოვებინათ, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შარშანდელი და წლევანდელი გეგმა-ვალდებულებანი გადამეტებით გაენაღდებინათ. მარტო წელს, თერთმეტ თვეში 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი აღზარდეს. 14 სპორტის ოსტატის მაგიერ ნორმატივი 26 კაცმა შეასრულა, მათგან 19-ს ეს წოდება უკვე მიეკუთვნა. 58-ით გადაამეტეს სპორტის ოსტატობის კანდიდატებისა და პირველთანრიგოსანთა მომზადების დავალებას, თითქმის 800-ით — მშდ ნიშნოსნებისას. საწარმოო ტანვარჯიშში 2000 კაცით მეტი მიიზიდეს, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა, გეგმები კი ამ საზოგადოებას მცირე როდი ჰქონდა.

ეს მატება მოპოვებული იქნა იმის მეოხებით, რომ საქალაქო საბჭომ განსაკუთრებით საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის შარშან 2 ივლისს გამართული კრების დამთავრებისთანავე შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ისეთ ორგანიზაციებს, სადაც მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მივიწყებული ან ჩაშლილი იყო. ერთი ასეთი გახლდათ „საქსამშენმასალების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის უმოქმედობის შესახებ თავის დროზე „ლელოშიც" დაიწერა.

ამჟამად ამ ინსტიტუტის მუშამოსამსახურეთა 45 პროცენტი 6 სხვადასხვა სახეობის სექციებში ვარჯიშობს. სისტემატურად ტარდება შიდასაკოლექტივო ღონისძიებები, რეგულარულად მონაწილეობენ რაიონულ და საქალაქო ტურნირებში. აქ საკუთარი კომბინირებული მოედანი ააგეს, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო დარბაზი მოაწყვეს და თანამშრომლებისთვის სხვა ბაზებიც დაიქირავეს. ახლა ამ კოლექტივში კარგადაა დაყენებული გამაჯანსაღებელი მუშაობის თითქმის ყველა ფორმა, რეგულარულად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში. შექმნილია ჯანმრთელობის ჯგუფი. ამის შედეგია, რომ წელს ინსტიტუტში ვადამდე გაანაღდეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების ძირითადი მაჩვენებლები.

საქმიანობა საგრძნობლად გამოასწორეს, აგრეთვე, ფაბრიკა „კომკავშირელის", ტრიკოტაჟის № 2 № 3 ფაბრიკების, ქარხანა „იზოლიტის", „თბილხელსაწყოს" ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. ახლა ისინი იბრძვიან იმისთვის, რომ გაუტოლდნენ მოწინავეებს — კამვოლური დართვის ფაბრიკას, სართავ-სატრიკოტაჟო და კერამიკულ კომბინატებს, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებას, სპორტკლუბებს „უშბას", „განთიადს", „გამარჯვებას", ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანსა" და სხვებს.

დიდი საწარმოების მშრომელთა დასახლებაში გაუმჯობესდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ-სპორტული საქმიანობა. ამის საუკეთესო ნიმუში გახლავთ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექციისა და ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის" ზრუნვის მაგალითი. ამ ქარხნის მიკრორაიონში 2 წლის მანძილზე რამდენიმე ფრენბურთის, კალათბურთის და ჩოგბურთის მოედანი, საჭიდაო, ბავშვთა მოედნები მოეწყო, რომლებიც მიკრორაიონში მცხოვრები ყველა ასაკის ადამიანთა აქტიური დასვენების კერად გადაიქცა. ამ ღონისძიებამ მოზარდებს ქუჩისაკენ მიმავალი გზა გადაუკეტა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ დედაქალაქის „განთიადის" ყველა ფიზკულტურული კოლექტივი ისე მოწინავე იყოს, როგორც ზემოთ დასახელებულნი და საზრუნავი არაფერი ჰქონდეთ. ჯერ კიდევ ვხვდებით ორგანიზაციებს, სადაც საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებების გაცნობით დაკმაყოფილდნენ, მათი ცხოვრებაში გატარებისთვის კი სათანადოდ არ იზრუნეს. „განთიადის" საქალაქო საბჭომ დღემდე ვერ მიაღწია ყველა ფიზკულტურული კოლექტივის ორგანიზაციულ განმტკიცებას.

სილიკატების ქარხნის თითქმის 1000-კაციანი ფიზკულტურული კოლექტივის უმოქმედობა დირექციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს არ აწუხებთ. მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩამორჩენილია [illegible] ნიშნოსნები, თანრიგოსნები არ მოუმზადებიათ. ცუდად მუშაობენ ლითონკონსტრუქციებისა და „ელექტროავტომატის" ქარხნების, საავეჯო ფაბრიკის, ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოები.

ამ და სხვა საკითხებზე იყო ლაპარაკი „განთიადის" საქალაქო კონფერენციაზე, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საქალაქო საბჭოს საზოგადოებრივი თავმჯდომარე ტ. კიკნაველიძე. კამათში მონაწილეობდნენ სპორტკლუბ „ფეიქარის" ინსტრუქტორი **გ. დვალი**, ელმავალმშენებელი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **რ. მზარელუა**, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის" მუშა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **გ. რიმანისთაველი**, „განთიადის" ტანვარჯიშის სპორტსკოლის დირექტორი **რ. მიქაძე** და სხვები.

სიტყვით გამოვიდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ა. გიორგობიანი**, რომელმაც შეკრებილთ აცნობა საქართველოს პროფსაბჭოს გადაწყვეტილება „განთიადის" თბილისის საქალაქო საბჭოს საშტატო ერთეულების შემოღების შესახებ.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება და აირჩია თბილისის საქალაქო საბჭოს ახალი შემადგენლობა. ამ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია **შ. რევიშვილი**.



ქვათაცვენა რომ არა...

ქართველმა მთამსვლელებმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საკავშირო ჩემპიონატებში სხვადასხვა ხარისხის მედლების შვიდი კომპლექტი მოიპოვეს.

ამ მხრივ ლიდერის „ყვითელ მაისურს" საქართველოს ალპური კლუბის გუნდი ატარებს. მათ ანგარიშზეა ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი.

საქართველოს ალპური კლუბის წევრებმა წლეულს დასავლეთ შხარას შეუტიეს სამხრეთ დასავლეთი ქედის გავლით. როგორც ვიუწყებოდით, მთამსვლელებმა მწვერვალს მიაღწიეს და იქიდანაც მშვიდობით დაბრუნდნენ. ჩვენ და თვითონ მწვერვალის დამპყრობნიც დაიმედებული ვიყავით, რომ ეს ასვლა საკავშირო ჩემპიონატში უთუოდ ერთერთ ჯილდოს დაიმსახურებდა, მაგრამ...

როცა საკავშირო ჩემპიონატის წლევანდელი შედეგები შეჯამდა, საქართველოს ალპური კლუბის წევრები V ადგილზე აღმოჩნდნენ. გამარჯვება კი წილად ხვდა მთამსვლელთა ბანაკ „არტუჩის" წევრებს, რომლებმაც პამირ-ალაის მთებში ზარაფშანის ქედზე მწვერვალი მირალი დაიპყრეს.

რა მოხდა?

ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს **ნ. კანკავას**, რომელიც ჩვენი ქვეყნის მსაჯთა კოლეგიაში საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელია.

— მოგეხსენებათ, მთამსვლელებს მაყურებელი არა ჰყავს. ბუნებრივია, მათ ასვლას ვერც მსაჯები ადევნებენ თვალს. ალპინისტთა საკავშირო შეჯიბრების შედეგების განხილვა ასვლის აღწერილობის მიხედვით ხდება. მასში ნაჩვენები უნდა იყოს მწვერვალის ფოტოსურათი, მარშრუტი, „გზის" ცალკეული მონაკვეთები, სქემები, ასვლის პირობები... აღწერილობას თავდაპირველად საკლასიფიკაციო კომისია განიხილავს. იგი ადგენს, ასვლა პირველასვლა იყო, გამეორება თუ ეგრეთწოდებული ვარიანტი. ამ უკანასკნელში იგულისხმება ძველი მარშრუტის ნაწილობრივ, ან მის შორიახლოს გავლა.

სამწუხაროდ, კომისიამ ჩათვალა, რომ ქართველმა მთამსვლელებმა 1970 წლის თავიანთივე მარშრუტი გაიმეორეს, რომელიც 5ა კატეგორიის სირთულით იყო შეფასებული. საკავშირო ჩემპიონატში კი, როგორც მინიმუმი, მთამსვლელებმა 5ბ კატეგორიის სირთულის გზა უნდა გაიარონ. ბუნებრივია, მსაჯთა კოლეგიამ ქართველ მთამსვლელთა მიერ აღებული მწვერვალი უკანასკნელ ადგილზე გადაისროლა. შემდეგ, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა მარშრუტი პირველგავლა იყო, რომელიც 5ბ კატეგორიის სირთულით უნდა შეფასებულიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯთა ერთი ნაწილისთვის ეს გაუგებარი დარჩა და საბოლოოდ — V ადგილი.

აღსანიშნავია, რომ III-IV ადგილები ბურევესტნიკელმა და ალმაათელმა მთამსვლელებმა გაინაწილეს. პირველებმა ალაის ქედის ჩრდილო განშტოებაზე მწვერვალი საუკ-ჰაილაიუ დაიპყრეს, ხოლო ყაზახეთის წარმომადგენლებმა განთიადელთა 1976 წლის „ოქროს" მარშრუტი გაიმეორეს მწვერვალ ჯიგიტზე. საკლასიფიკაციო კომისიას იმთავითვე რომ დაემტკიცებინა დასავლეთ შხარაზე საქართველოს ალპური კლუბის წევრთა მარშრუტი პირველგავლად, ალბათ, როგორც მინიმუმი „ბრინჯაოს" დაისაკუთრებდნენ. პირველგავლას ხომ უპირატესობა ეძლევა გამეორებასთან შედარებით?!

საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს მეორე გუნდი — განთიადელთა ჯგუფიც გამოდიოდა. ისინი საკმაოდ გამოცდილი მთამსვლელები არიან. სსრ კავშირის ჩემპიონატებში მათ „ოქროც" მოუპოვებიათ და მრავალი „ვერცხლი" და „ბრინჯაოც". განთიადელები წლეულს სასიმაღლო ტექნიკურ კლასში გამოდიოდნენ — „ტაჯიკეთის უნივერსიტეტის" სახელობის მწვერვალზე ადიოდნენ. სამწუხაროდ, ბედმა არც მათ გაუღიმათ — მწვერვალზე დაახლოებით 300 მეტრამდე რომ აიწიეს, ძლიერი ქვათაცვენა დაიწყო. ბუნებრივია, ამის შემდეგ ასვლა შეუძლებელი გახდა — ეს ადვილი შესაძლებელია, სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ.

აღსანიშნავია, რომ ამავე მწვერვალზე ერთი კვირით ადრე ალმაათელმა მთამსვლელებმა დაიწყეს ასვლა, ოღონდ სხვა გზით. მათ ქვათაცვენას გაასწრეს და მწვერვალსაც მიაღწიეს. იქიდან კი „ოქრო" ჩამოიტანეს. ქართველი მთამსვლელებისთვის ბედს რომ არ ემუხთლა, ისინი უთუოდ ოქროს მედლებს მოიპოვებდნენ, რადგან მათი მარშრუტის სირთულე ბევრად აღემატებოდა ალმაათელებისას.

მართალია, ქართველი მთამსვლელები წლეულს, პირველად ამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე, მედლების გარეშე დარჩნენ, მაგრამ 1978 წელი მთლად უნაყოფო არ ყოფილა მათთვის. ეს უწინარეს ყოვლისა დამხმარე ჯგუფის წევრებზე ითქმის. მათ მრავალ ასვლებში მიიღეს მონაწილეობა და კვალიფიკაციაც აიმაღლეს. ალპური კლუბის წევრთა ამ ასვლების შესახებ ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით. რაც შეეხება განთიადელებს, მათ პამირში „მოსკოვსკაია პრავდა", „ლიტვა", „ზელონაიტისი" და „გიორგი ნიკოლაძის" სახელობის მწვერვალები დაიპყრეს. მათი სირთულე მე-4 კატეგორიაზე ნაკლები არაა.

ახლა, ისღა დაგვრჩენია, ახალ წელს იღბლიანი ასვლები ვუსურვოთ ჩვენს მთამსვლელებს.

ა. ბურახაშვილი.

მრავლის მტვირთველი...

მწვრთნელი...

რამდენი უძილო ღამე, ენერგიის დაუშურებელი ხარჯვა და ნერვიული დაძაბულობა იფარება ამ პატარა სიტყვის მიღმა, რამდენი სიხარული და კვლავ გამარჯვების სურვილი...

რთულია და საინტერესო მწვრთნელის პროფესია. იგი, თითქოსდა წააგავს კიდეც რამპის იქით მდგომ რეჟისორს. თუმცა აქ არც მთავარი და მეორეხარისხოვანი როლებია, არც „პრიმა" აქტიორები. სპორტში ხომ ყოველი დეტალი, ყოველი ნიუანსი მთავარია და მნიშვნელოვანი.

დილა. ვაკის საცურაო აუზი. თბილისელ წყალში მხტომელთა ვარჯიში. მწვრთნელი ალექსანდრე ბართაია.

სხეულის ჰარმონიული პროპორციები, მოძრაობის დახვეწილი მანერა და თავისუფალი, თამამი ხტომა. კოშკზე ასული სპორტსმენი წამნახევარს ანდომებს საკუთარ შესაძლებლობათა სრულყოფილ დემონსტრირებას.

— მთავარია შიშის გრძნობისგან განტვირთული, თამამ განწყობილებას დაუფლებული იყოს სახტომ კოშკზე ასული და თუკი ამას საშემსრულებლო ოსტატობასაც დავუმატებთ, წარმატებაც აღარ იქნება შორს საძებნი, — გვეხსნის ა. ბართაია.

მისი პირველი მწვრთნელი მ. იაროგინა იყო. დღეს უკვე რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. ბართაია თბილად, სიყვარულით იხსენიებს მ. იაროგინას.

ა. ბართაია იყო საქართველოს ჩემპიონი წყალში მხტომელთა შორის, სტუდენტთა პირველობის ჩემპიონი.

შემდეგ საბჭოთა არმიის რიგები. ა. ბართაია პოლონეთში მყოფი საბჭოთა ჯარების ჩემპიონია ცურვაში. მერე კი ტრავმა ერევა საქმეში და...

1970 წლიდან ერთგულად ემსახურება წყალში მხტომელთა აღზრდის რთულსა და საპატიო საქმეს. ჯერ თბილისის განათლების განყოფილების წყალთა სახეობების სპორტულ სკოლაში, ხოლო შემდეგ ვაკის საცურაო აუზის საწვრთნელ ბაზაში. პარალელურად მუშაობს თბილისის 51-ე საშუალო სკოლაში.

ეს ახალგაზრდა კაცი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ფანატიკურად შეყვარებულია საკუთარ პროფესიაზე. ღირსეულად ატარებს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო სახელს.

სკოლაში მუშაობა ხელს უწყობს მომავალ სპორტსმენთა შერჩევას — დაკვირვებული, მახვილი თვალი დროულად „იჭერს" სასურველი მონაცემების მქონეთ. შესარჩევი ეტაპის შემდეგ კი ვარჯიში, ვარჯიში და ისევ ვარჯიში. უამისოდ ხომ წარმოუდგენელია სპორტში წარმატების მოპოვება.

ა. ბართაიას აღსაზრდელები მ. ნოზაძე, ლ. ღონღაძე და ს. ელბაქიძე წყალში მხტომელთა საკავშირო ნაკრების კანდიდატები არიან. ჯგუფებში ბევრია აგრეთვე სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი. ისინი მშვენივრად უთავსებენ ერთმანეთს სწავლასა და ვარჯიშს.

უცებ, თვალის ერთი შევლებით შეიძლება მწვრთნელი ვერც გამოარჩიოთ თავისი აღსაზრდელებისგან — ისიც ხომ საკმაოდ ახალგაზრდაა.

— ახლა ძირითადად საკავშირო სპარტაკიადისთვის ვემზადებით. საერთოდ კი, ჩვენი უდიდესი გამარჯვება და ყოველი სპორტსმენის უდიდესი სურვილი ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრა იქნება. ამისთვის სისტემატური ვარჯიში და სრულყოფილი მომზადებაა საჭირო, — გვეუბნება ა. ბართაია.

მწვრთნელი...

მრავლის მთქმელი და მრავლის მომცველია ეს ერთი პატარა სიტყვა. ბევრს იტევს იგი — გამარჯვების სიხარულს და დამარცხების სევდას, საქმისადმი სიყვარულს და უდიდეს რწმენას. რთული, ძალზე რთული და საინტერესოა ეს პროფესია, ხოლო იმ კაცისთვის, რომელსაც დამსახურებული მწვრთნელი ჰქვია, ბევრის, ძალიან ბევრის მტვირთველია იგი.

ახალ წელს ახალი იმედებით ეგებება მწვრთნელი...

მზია ბედიაშვილი.

ჯანსაღია სტადიონით

✦ სამტრედია

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" სამტრედიის რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში. მასში მონაწილეობა მიიღო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 12 კოლექტივმა.

გამარჯვება მოიპოვა დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ანდრიაძე, მწვრთნელი თ. ვაშაკიძე). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა და ღანირის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები.

გათამაშებაში დაწესებული იყო სხვადასხვა სპეციალური პრიზი, რომლებიც გადაეცა დანიშნულებისამებრ.

ო. ნიკოლეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებები კვლავაც გვექნება

მოაბიჯებს იმედებით და თამამი ოცნებებით დახუნძლული ახალი 1979 წელი. იგი ყველა გამრჯე კაცს გამარჯვებას პირდება. ქართველი მოჭადრაკეებიც მას იმედით და სიხარულით ხვდებიან. მათთვის ყოველ ახალ წელს ახალი წარმატებები და საქვეყნო აღიარება მოაქვს. უკვე სასიამოვნო ტრადიციად იქცა წარმავალ წელს ჩვენი მოჭადრაკეების თვალსაჩინო წარმატებებით დაგვირგვინება. ასე იყო 1977 წლის დეკემბრის მიწურულში, როცა მ. ჩიბურდანიძემ, ნ. ალექსანდრიამ და ნ. იოსელიანმა სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის ყველა ღირებულების მედალი შინ წამოიღეს. 1978 წლის დეკემბრის ბოლო დღეებში კი გაგვახარა თამაზ გიორგაძემ, როცა სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატში საპრიზო ადგილი დაიკავა, მანამდე მისი ტოლფასი მიღწევა არც ერთ ქართველ მოჭადრაკე ვაჟს არ ჰქონია ქვეყნის ჩემპიონატებში. მან, როგორც შარშანწინ ჩვენმა საამაყო გოგონებმა, ახალ წელს გამარჯვებები დაგვაბედა.

ქართულ ჭადრაკს ყველაზე ბარაქიანი 1978 წელი ჰქონდა. ყველა წარმატების უბრალოდ ჩამოთვლაც საკმარისია, რომ გული სიამაყით აგევსოს. რომელი ერთი ვთქვათ? ალბათ ყველაზე დიდი მაინც ის მოვლენებია, რომელთაც მსოფლიო ყურადღება აქვთ.

ჭადრაკის ქალთა ისტორიას ჩვენმა ერმა, ახალი, მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი შესძინა მაია ჩიბურდანიძის სახით. ამ ამბავს ყველაზე მეტად ის ალამაზებს, რომ ჩემპიონი 17 წლისაა. მსგავსი რამ არ ახსოვს ჭადრაკის სამყაროს. როგორია ნორჩი ჩემპიონი? თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ის მოჭადრაკე, რომელმაც შეძლო ყველა დროის დიდ მოჭადრაკესთან, განუმეორებელ ნონა გაფრინდაშვილთან ორთაბრძოლის მოგება? რა თქმა უნდა, ღირსეული. ყველამ ვიცოდით, რომ ნონას, შეუძლია ერთი-ორი პარტიის წაგება, მაგრამ მატჩში მისი მძლეველი არავინ გვეგულებოდა, მაგრამ იგი აღმოჩნდა თვით სწორუპოვარი ნონას მაგალითზე გაზრდილი ქართველი ასული.

დიდი, ისტორიული მოვლენაა ისიც, რომ ნონა გაფრინდაშვილს პირველს ქალთა ჭადრაკის მატიანეში ვაჟთა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა. ალბათ ამას ნათელმხილველი მისნებიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ქალი ასე თამამად, გაბედულად შეიჭრებოდა ვაჟთა ჭადრაკის სამფლობელოში. ეს მხოლოდ გონიერი და რაინდული სულის მოჭადრაკე ქალს შეეძლო გაეკეთებინა.

ნონა გაფრინდაშვილმა ქართველ ასულებს „ფანჯარა გაუჭრა“ ქალთა მსოფლიო პირველობაში, მანვე მათ გზა გაუკაფა ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდებისკენ. ამიტომ არ გვიკვირს, როცა მ. ტალი ამბობს რომ მალე მაია ჩიბურდანიძეც დაეუფლებაო მოჭადრაკე ვაჟთა უმაღლეს წოდებას.

კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გაასახელეს მაია ჩიბურდანიძემ, ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა ალექსანდრიამ შორეულ არგენტინაში ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში, სადაც სსრ კავშირის სპორტულ ღირსებას იცავდნენ. თავიანთ დაფებზეც პირველნი იყვნენ და ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი. არა, მსგავსს ვერ გაიხსენებენ მემატიანენი.

ვის არ ალაღებს სიხარულით მსოფლიოს სარბიელზე ახალი სახელების — ნინო გურიელისა და ნანა იოსელიანის გამოჩენა. ქართველ მოჭადრაკეთათვის ბარაქიანი წელი მათ საზონათაშორისო ტურნირის საგზურების მოპოვებით დაასრულეს. ეს იყო მადი ვაჟკაცური ბრძოლის ლოგიკური შედეგი. გაზაფხულზე ნინომ ბრწყინვალედ გაიმარჯვა პოლონეთის საერთაშორისო ტურნირში, ნანამ იუგოსლავიიდან გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონის თასი ჩამოიტანა.

ბევრზე ბევრია ჩვენი მოჭადრაკე ქალების გამარჯვება: ნონას — დორტმუნდის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, მაიას — ბუდაპეშტში, ნანა ალექსანდრიას — კისლოვოდსკის ქალთა საერთაშორისო ტურნირში...

მსოფლიო გაკვირვებულია ქართველი ქალების საოცარი შრომისმოყვარეობით, ტალანტით, მებრძოლი სულით და თავდადებით. როგორ არ იამაყო და არ გაიხარო თანამემამულეთა საქვეყნოდ აღიარებული მიღწევებით!

1978 წელი ჩვენი მოჭადრაკე ვაჟებისთვისაც წარმატებითი იყო. დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირსა და ვ. ქარსელაძის V მემორიალში, ზ. აზმაიფარაშვილმა — ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონატში და ბოლოს თ. გიორგაძემ გვასახელა 46-ე ჩემპიონატში, სადაც მან სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება მოიპოვა. შეივსო ჩვენი ოსტატთა ოჯახიც. ე. უბილავასა და გ. ზაიჩიკს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭათ, ზ. აზმაიფარაშვილს — სპორტის ოსტატისა.

და აი, ახალი წელიც დგება. ჩვენს მოჭადრაკეებს, პირველ ყოვლისა სახელოვან ქალებს, დიდად საპასუხისმგებლო შეჯიბრებები მოელით საკავშირო და მსოფლიოს სარბიელზე.

დაე, წარმატებაც არ მოჰკლებოდეთ მათ!

ღ. გიორგაძე.

ჭადრაკი

ჭადრაკის მიმოწერით თამაშის სსრ კავშირის XV ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში საქართველოს მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ. ადრე ჩვენი მოჭადრაკეები დასწრებულ შეჯიბრებას უფრო მეტ პატივს სცემდნენ. მოთმინება არ ყოფნიდათ — მიმოწერითი ტურნირი ხომ ორ წლამდე გრძელდება.

და აი, 6 მოჭადრაკემ მივიღეთ მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხედფინალებში, თუმცა ნახევარფინალში ვერც ერთი ვერ მოვხვდით, მაგრამ გული მაინც არ გვწყდება: შევიძინეთ გამოცდილება, ანალიზის უნარი, უფრო ღრმად გავეცანით საჭადრაკო ლიტერატურას. ვფიქრობთ, მორიგ გათამაშებაში მეტი წარმატებით ვითამაშებთ.

მივმართავ ჭადრაკის ყველა მოყვარულს, აქტიურად ჩაებით მიმოწერით ტურნირებში. მიმოწერითი თამაში დაოსტატების ნამდვილი საწინდარია.

რ. თოფურია.

თოვლის პაპამ და თოვლიამ საახალწლოდ ჩვენი დედაქალაქის ოლიმპიური ობიექტები მოინახულეს. ისინი ოლიმპიური სოფლის მშენებლებს ესტუმრნენ.

საქდესის ფოტო.

უმასპინძლებს ლოს-ანჯელესი

მაშ ასე: 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს აშშ-ს ქალაქი ლოს-ანჯელესი. ჯერ კიდევ გაზაფხულზე გაურკვეველი იყო, შეძლებდა თუ არა კალიფორნიის ეს უდიდესი ქალაქი ოლიმპიადის მასპინძლობას, თუმცა ლორდ კილანინს და მის კოლეგებს ოლიმპიური კომიტეტიდან სხვა არჩევანიც არ ჰქონდათ, მაშინ როდესაც იმავე წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებისთვის კონკურენცია მიმდინარეობს რამდენიმე ქალაქს შორის.

ყველა ტრადიციული ოლიმპიური წესის დაცვით ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის მასპინძლად წარდგენა უნდა მომხდარიყო ამა წლის 31 ივლისამდე.

ამ დროისთვის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და მის აღმასრულებელ კომისიას არ გააჩნდა არავითარი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ჰქონდა საქმე ქალაქის მუნიციპალიტეტს, იყო თუ არა პასუხისმგებელი ქალაქის თვითმმართველობა ოლიმპიადის ჩატარებისთვის. 22 ივლისს კი ლოს-ანჯელესის მერმა ტომ ბრედლიმ განაცხადა, რომ ურჩევს მუნიციპალიტეტს საბოლოოდ გააუქმოს ქალაქის კანდიდატურა. რამ გამოიწვია ქალაქის მერის ასეთი განცხადება? რასაკვირველია, პირველ რიგში ლოს-ანჯელესის ფინანსურმა მდგომარეობამ. მისი ახლანდელი ბიუჯეტი საკმაოდ შეთხელებულია, ხოლო დეპარტამენტი თავს იკავებს ისედაც დიდი გადასახადების გასადიდებლად, რაც უთუოდ გამოიწვევს მოსახლეობის გულისწყრომასა და მღელვარებას. ამავე დროს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი თქვა მოლაპარაკების წარმოებაზე „კერძო პირთა კომიტეტთან“, რომელიც თავის თავზე იღებდა ოლიმპიადის ფინანსირების საქმეს.

ივლისის ბოლო რიცხვებში აშშ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა რობერტ იგანმა და ფინანსისტმა უილიამ სიმონმა (დეპარტამენტის ფინანსთა საქმეების ყოფილი მდივანი) განაცხადეს, რომ ოლიმპიური კომიტეტი დაფარავს მოსალოდნელ ხარჯებს, რომელიც საჭირო იქნება ოლიმპიური თამაშების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში უილიამ სიმონი, როგორც ფინანსისტი, თავისი აშკარა ოპტიმისტური განცხადებით ერთადერთია, თუმცა მას იმედი აქვს, რომ დეპარტამენტის დახმარებით, შემოსავალს მიიღებს პირდაპირი სატელევიზიო გადაცემების უფლებისთვის მიღებული თანხიდან. ამის შემდეგ ოლიმპიადის ფინანსირებისთვის წამოყენებულ იქნა კიდევ ერთი ახალი გეგმა, რომელიც მზადდებოდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში წარსადგენად. ეს იყო ე. წ. „განსაკუთრებული“ გეგმა და ერთი შეხედვით ადვილად შესასრულებელი, რაც პირველ რიგში დამყარებულია ქალაქის მერის ტომ ბრედლის კარგ ურთიერთდამოკიდებულებაზე ბიზნესმენებთან. მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს არ შეეძლო ანგარიში გაეწია ამ საეჭვო გეგმებისთვის და არც სურდა ახალი ვადები დაენიშნა ამ საკითხის გადასაჭრელად. ლორდმა კილანინმა ლოს-ანჯელესის მერს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 21 აგვისტოს აშშ-ს ამ ქალაქს საბოლოოდ უარი უნდა ეთქვა ან დათანხმებულიყო ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე (1932 წელს ლოს-ანჯელესი უკვე მასპინძლობდა ოლიმპიადას). ამ დროისთვის კი უკვე ცნობილი იყო აშშ ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ლოს-ანჯელესი არ გაუცვლიდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებას ნიუ-იორკს, დეტროიტს ან ატლანტას (ამით უარყოფილი იქნა გავრცელებული ხმები ამ გაცვლის შესახებ).

ბევრი შეხლა-შემოხლის შემდეგ, როგორც იქნა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს წარუდგინეს ლოს-ანჯელესის მიერ ოლიმპიური თამაშების მომზადების და ჩატარების პროექტი და აქედან გამომდინარე გარანტიები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა პროექტი. გაიმართა კენჭისყრა, რომლის დროსაც აშშ-ს ამ ქალაქს ხმა მისცა კომისიის 74 წევრმა, 3 წინააღმდეგი იყო, 8 თავი შეიკავა. 20 ოქტომბერს კი თეთრ სახლში გაიმართა ცერემონია, რომლის დროსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა და ლოს-ანჯელესის მერმა ტომ ბრედლიმ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც ლოს-ანჯელესს გარანტიას აძლევს ჩაატაროს 1984 წლის ზაფხულის თამაშები ოლიმპიური წესების თანახმად.

ფრანგულიდან თარგმნა **ზ. თათეიშვილმა.**

„ოლიმპიური ვალდებულება“

პარიზი. საფრანგეთის სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებმა აქტიური მუშაობა გააჩაღეს მოსკოვის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად. სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე სპეციალურმა კომისიამ დაამტკიცა კოლექტიური და ინდივიდუალური კონტრაქტები სპორტსმენებთან, რომლებიც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში საფრანგეთის ღირსებას დაიცავენ.

არსებული დებულების მიხედვით, ათლეტი, რომელიც ხელს მოაწერს ოლიმპიურ კონტრაქტ-ვალდებულებას, ჩაერთვება სპორტსმენთა და გუნდების უმაღლესი ფორმის მიღწევის მიზნით შემუშავებულ გაძლიერებულ ვარჯიშებში.

ჯერჯერობით საფრანგეთის ოლიმპიურ ნაკრებში 72 სპორტსმენია შეყვანილი. (საქდესი).

როცა ჩემთანაა, მხოლოდ ჭადრაკზედა ვფიქრობ

ჩანახატი

ყველანი შინ არიან.

ჩვენ განმარტოებით ვსხედვართ, ქალბატონი ნონა და მე.

ოთახში დათო შემოდის.

— მე და მამა ნაძვისხის საყიდლად მივდივართ.

— ამ კვირა დღეს რა უნდა იყიდოთ?

— უნივერმაღი ღია იქნება. — სიტყვას ვაშველებ.

— ღია იქნებაო, ღია! — უხარია დათოს და გარბის — მამა! — ისმის მეორე ოთახიდან. — ჩქარა, რა, ჩქარა!

ჩემს პირდაპირ კედელზე თაროებია მიწყობილი. ზედ კონიაკის ლამაზი ბოთლები აწყვია თვალისმომჭრელი ეტიკეტებით.

მიკვირს.

— ჯერ ჩემი მეუღლე იყო გატაცებული, — მიხსნის მასპინძელი, — ახლა მეც კოლექციონერი ვარ.

— ჩვენი კოლექცია უფრო დიდია! — ვამბობ გამომწვევად.

— ასეთები მაინც არ გექნებათ — ეღიმება ნონას, — ბალერინა გაქვთ?

— ნაპოლეონიც მაქვს, მარტინიც! — ვიშველიებ უტყუარ კოზირებს.

— ფიატი? დავითი?

— არა, არც ასეთი კოშკი, არც ის...

— ჩვენს ოჯახში კიდევ ორი კოლექციაა. დათოს ოთახს გაჩვენებთ.

კარადაში ერთი ციცქნა მანქანები აწყვია.

მინებშუა ვიღაცას საკეტი ჩაუდია, ვითომ, დაკეტილია, ხელი არ ახლოთო.

დათოს ოინებია.

— თუ შეიძლება, გავვიღე შენი კარადა! — იცინის ნონა.

— აიღეთ, რაც გინდათ, ნებას გაძლევთ! — ისმის მეორე ოთახიდან.

მაგიდაზე თეთრად დაფიფქული პლასტელინის ნაძვისხე დგას.

— დათომ გამოძერწა. ერთი სული აქვს როდის მოვა ახალი წელი.

ნონას ოთახში გავდივართ.

მხოლოდ ჭადრაკი, ჭადრაკი, ჭადრაკი... ყველა ნივთი ჭადრაკს უკავშირდება: ზოგი საჩუქარია, ზოგი — ჯილდო, ზოგიც — სუვენირი!

ოთახში ნონას მეუღლე შემოდის.

— თქვენ ისევ აქა ხართ? — კითხულობს ნონა.

— მივდივართ. ჩემი ფლომასტერები სად არის?

— აი, იქ!

— ვინ დამალა?

— მე! — ამბობს ნონა, — ძლივს ავაწყე.

— კარგად აგიწყვია! ეს თავია, ეს — ბოლო! — ეღიმება მეუღლეს.

— თურმე რატომ არ მოერგო?! — იცინის ნონაც.

— ჩემმა დედიკომ ჭადრაკი იცის კარგად! — წყენით ამბობს დათო.

ხმამაღლა ვიცინით.

— მამა! ჩქარა! გათავდება! — ვერ ისვენებს ბიჭი.

ნონა ერთი წუთით მტოვებს.

დერეფნიდან მესმის მისი ხმა:

— ქუდი დაიხურე! ღილები შეიკარი! ცივა!

— დათოსთან დაშორება არ გიჭირთ ხოლმე? — ვეკითხები დაბრუნებულს.

— ვიცი, უჩემოდ არ გაუჭირდება — დედა ჩემზე მეტ ყურადღებას აქცევს, მაგრამ როცა ჩემთანაა, მხოლოდ ჭადრაკზედა ვფიქრობ.

ზ. მაჩიაშვილი.



1978 წლის ოქროსმედალოსნის — თბილისის „დინამოს“ მოპოვებული — ცხარე ბრძოლებში მოპოვებული საპატიო თასები: (მარცხნიდან) — სსრ კავშირის ჩემპიონს, დუბლიორთა ტურნირში გამარჯვებულს, ორივე შემადგენლობით საუკეთესო მაჩვენებლისთვის, გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი ყველაზე შედეგიან გუნდს, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრიზი „გუნდთან ერთად“.

ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

საფრანგეთი

XXIV ტურის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ჩემპიონობის 5 პრეტენდენტზე. სტრასბურგის „რესინგს“, რომელმაც უკანასკნელ ტურში დაამარცხა „მეცი“ — 2:1, 34 ქულა აქვს. „ნანტი“ ბოლო ტურებში მატჩს მატჩზე იგებს და ახლა 32 ქულა აქვს. ამდენივე ქულით III ადგილზეა „სენტ-ეტიენი“, 31 ქულით მეოთხეზე — „მონაკო“, 30 ქულით მეხუთეზე — ბორდოს „ჟირონდა“.

ბოლო XX ადგილზე კვლავინდებურად „სტად დე რეიმსია“ — 13 ქულა. ოდესღაც განთქმულ გუნდს, ეტყობა, მეორე დივიზიონში გადასვლისგან აღარაფერი იხსნის.

იტალია

თუმცა ჩემპიონატის დაწყებიდან XII ტური გავიდა, გუნდების უმრავლესობა ჯერაც შორს არის საბრძოლო ფორმიდან. სხვებზე უკეთესად გამოიყურებიან „მილანი“, სადაც თავის მეორე (!)სეზონს ჩინებულად ატარებს გუნდის კაპიტანი რივერა და პროვინციული „პერუჯა“.

XII ტურის შედეგები ასეთია: „ატალანტა“ (ბერგამო) — „ფიორენტინა“ 0:0, „ბოლონია“ — „ნაპოლი“ 1:1, „ინტერი“ — „ლანეროსი“ (ვიჩენცა) 0:0, „პერუჯა“ — „კატანძარო“ 1:0 „რომა“ — „იუვენტუსი“ 1:0, „ტორინო“ — „ლაციო“ 2:2, „ვერონა“ — „მილანი“ 1:3, „აველინო“ — „ასკოლი“ 3:1.

XII ტურის შემდეგ „მილანს“ 19 ქულა აქვს, „პერუჯას“ — 18, „ინტერსა“ და „ფიორენტინას“ 15-15, „იუვენტუსსა“ და „ტორინოს“ — 14-14.

ბელგია

დამთავრდა I წრე. „ბევერენ-ვაასმა“ დაძაბულ მატჩში ანგარიშით 1:0 სძლია „სტანდარდს“ (ლიეჟი).

„ბევერენ-ვაასმა“ წრე 17 თამაშიდან 25 ქულით დაამთავრა. 21-21 ქულა აქვთ ბრიუსელის „ანდერლეხტს“ და „ანტვერპენს“, 20-20 — „მოლენბეკს“, „ბრიუგესა“ და „ლოკერენს“.

თურქეთი

ერთი წლის „შესვენების“ შემდეგ კვლავ ჩინებულად თამაშობს „ტრაბზონსპორი“. XIII ტურში მან დაამარცხა იზმირის „ალთაი“ — 3:0, XIV ტურში — „ზონგულდაკსპორი“ — 1:0, 21 ქულა მოაგროვა და საიმედოდ ლიდერობს.

19 ქულა აქვს სტამბოლის „ფენერბახჩეს“, 17-17 ქულა — სტამბოლის „გალათასარაისა“ და „დიარბაქირსპორს“.

ესპანეთი

„ვალენსიამ“, რომელიც ჩემპიონატის დაწყების წინ პირველი ადგილის პრეტენდენტად მიაჩნდათ, მაგრამ ამ ბოლო ხანებამდე იმედებს უცრუებდა გულშემატკივრებს, ბოლოსდაბოლოს გატეხა ნავსი და ლიდერთა ჯგუფში შევიდა. XIII ტურში იგი მადრიდში თამაშობდა „რაიო-ვალეკანოსთან“ და გაიმარჯვა — 1:0. სარაგოსას „რეალმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ლიდერი — მადრიდის „რეალი“. „ატლეტიკმა“ (ბილბაო) ხიხონში წააგო (2:4) „სპორტინგთან“. ბარსელონაში ადგილობრივი გუნდების „ბარსელონასი“ და „ესპანიოლის“ შეხვედრა მოიგო პირველმა — 2:0.

XIII ტურის შემდეგ მადრიდის „რეალს“ 18 ქულა აქვს, მადრიდის „ატლეტიკოს“ და „ბარსელონას“ — 15-15 ქულა და თითო გამოტოვებული მატჩი, ბილბაოს „ატლეტიკოს“, „სევილიასა“ და „ვალენსიას“ — 15-15.

პორტუგალია

XIII ტურში „ბენფიკა“ თამაშობდა ბარეიროში ადგილობრივ „ფამალიკაოსთან“ და გაიმარჯვა — 1:0. სტუმრად გაიმარჯვა „პორტომაც“ — 3:2 მარ-ავეიროს „ბეირასთან“.

ახლა „ბენფიკას“ 20 ქულა აქვს და ერთი ქულით უსწრებს „პორტოს“. 17 ქულით III ადგილზეა ლისაბონის „სპორტინგი“.

საბერძნეთი

XI ტურში ლიდერმა — აეკ-მა ათენში მიიღო პროვინციული „კასტორია“. მძაფრი ბრძოლა მოიგო ლიდერმა — 2:1. ახლა აეკ-ს 18 ქულა აქვს, 17-17 ქულა მოაგროვეს პირეოსის გუნდებმა „ეთნიკოსმა“ და „ოლიმპიაკოსმა“, 16 ქულა აქვს „არისს“ (სალონიკი), 15 ქულა — „პანათინაიკოსს“ (ათენი).



იტალიურმა გაზეთმა „გუერინ სპორტივომ“ მკითხველთა შორის მოაწყო გამოკითხვა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად 1978 წლის შედეგების მიხედვით. 1252 ხმა მიიღო არგენტინელმა კემპესმა, რომელიც ესპანეთის „ვალენსიაში“ გამოდის. შემდეგ მოდიან: ავსტრიელი კრანკლი (ესპანეთის „ბარსელონა“) — 474, იტალიელი როსი („ვიჩენცა“) — 317, ჰოლანდიელი რენსენბრინკი (ბელგიის „ანდერლეხტი“) — 271, ინგლისელი კიგანი (დასავლეთ გერმანიის „ჰამბურგი“) — 256, ფრანგი ტრეზორი („მარსელ-ოლიმპიკი“) — 247, დანიელი სიმონსენი (მიონხენგლადბახის „ბორუსია“, გფრ) — 204, იტალიელი ბეტეგა („იუვენტუსი“) — 199, ჰოლანდიელი ნეესკენსი (ესპანეთის „ბარსელონა“) — 148, დასავლეთგერმანელი ბონჰოფი (ესპანეთის „ვალენსია“) — 132 და ა. შ.

ინგლისის ნაკრების ყოფილი მოთამაშე კ. ოზგუდი, რომელიც ბოლო ხანებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდიოდა „ფილადელფია ფიურისში“, დაბრუნდა შინ და განაახლა კონტრაქტი თავის კლუბ „ჩელსისთან“, რომელშიც მრავალი წლის მანძილზე თამაშობდა.

მსოფლიოს ჩემპიონებს — არგენტინელ ფეხბურთელებს 1979 წელს საერთაშორისო მატჩების სერია აქვთ დაგეგმილი ევროპაში. ამას წინათ გამოქვეყნდა ამ ტურნეს კალენდარიც: არგენტინელები 22 მაისს ბერნში (შვეიცარია) შეხვდებიან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს — ჰოლანდიელებს. ეს მატჩი იძღვნება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 75 წლისთავს. ერთი კვირის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონები ითამაშებენ ან ლონდონში — ინგლისელებთან, ან დუბლინში — ირლანდიელებთან. 2 ივლისს არგენტინელები გლაზგოში შეხვდებიან შოტლანდიის ნაკრებს.

ვიზიტის „მეორე რაუნდი“ დანიშნულია სექტემბრისთვის. 12 სექტემბერს არგენტინელები ჩავლენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 15 სექტემბერს — იუგოსლავიაში და 19 სექტემბერს — ჩეხოსლოვაკიაში.

ბუდაპეშტში ამას წინათ გაიმართა ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ინგლისის ნაკრებთან უნგრელთა გამარჯვების (6:3) 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. უნგრეთის საზოგადოებრიობა გულთბილად მიესალმა ამ ღირსსახსოვარი შეხვედრის მონაწილეებს, განსაკუთრებით, გუნდის მაშინდელ მწვრთნელს გუსტავ შებეშს, რომელიც — მიუხედავად თავისი 72 წლისა, ახლაც აქტიურად მონაწილეობს უნგრეთის საფეხბურთო ცხოვრებაში. „უემბლის“ მატჩის მოთამაშეებს გადასცეს სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

სტარტი 9 მაისს

პრაღა. ძალაში შევიდა ზამთარი. დაიწყო მოციგურავეების, მოთხილამურეების, ბიატლონისტების სტარტების სეზონი... მაგრამ სწორედ ახლა სრული დატვირთვით მიმდინარეობს მშვიდობის ველორბოლისათვის მზადება. პრაღაში, ველოსიპედისტთა ამ პოპულარული ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე საბოლოოდ დადგინდა რბოლის ტრასა. სპორტსმენები 9 მაისს პრაღაში აიღებენ სტარტს. სულ მათ მოუწევთ 14 ეტაპისაგან შემდგარი 1952 კმ-ის გავლა ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გდრ-ის გზებზე. ფინიში იქნება 24 მაისს ბერლინში.

მშვიდობის ველორბოლაში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან 26 ქვეყნის სპორტსმენები. ტრადიციისამებრ ძლიერი შემადგენლობით გამოვლენ სოციალისტური ქვეყნების გუნდები. შეჯიბრებაში მონაწილეობას აპირებენ, აგრეთვე, შვეციის, დანიის, ფინეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის მრბოლელები. მოსალოდნელია აშშ-ის სპორტსმენების დებიუტი.

მიაღწევს კი ნავსადგურს?

იმედი ნელ-ნელა ქრება. მისი მეგობრები და გულშემატკივრები საფრანგეთში მოუთმენლად ელიან უკანასკნელ ცნობებს. გვადელუპაში მეთვალთვალეები თითქმის სამი კვირაა გასცქერიან ოკეანის სივრცეს და ცდილობენ ჰორიზონტზე თვალი მოკრან იალქნის სილუეტს.

რომელი იალქნისას? ესაა იახტა „მანუეევა“ — ფრანგი ალენ კოლას კატამარანი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი იახტსმენის ნავი, რომლის შესახებაც არავითარი ცნობა არაა მას შემდეგ, რაც იგი ტრანსატლანტიკური რბოლის მონაწილეებთან ერთად საფრანგეთიდან ვესტ-ინდოეთში გაემგზავრა.

ამ რბოლას უკვე ჰყავს გამარჯვებული, არიან დამარცხებულებიც, მაგრამ ალენ კოლა, შესაძლოა, ჯერ კიდევ განაგრძობს ბრძოლას უკანასკნელად. იგი ნახეს აზორის კუნძულების მახლობლად.

„არავის შეუძლია იწინასწარმეტყველოს თუ ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში: რეალური ბატონ-პატრონი ოკეანეა“. — ასე წერდა ა. კოლა 1973 წელს მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შემდეგ, როცა მან პლანეტას 168 დღეში შემოუარა გარს.

მეზღვაურებს, რომლებიც მარტოდმარტო სერავენ ოკეანეებს, მიაჩნიათ, რომ ალენ კოლა ყველაზე უფრო კვალიფიციური მოგზაურია მსოფლიოში. ფრანგი სპორტსმენისთვის, როცა მან თავისი ბოლო რბოლა დაიწყო, მთავარი პრობლემა იყო დაშავებული ფეხის კოჭი. ყოველ ორ დღეში ერთხელ მას უნდა გაეკეთებინა ინექცია, რომ თავიდან აეცილებინა განგრენა. ამას გარდა, ბოლო თვის მანძილზე ატლანტიკაში წარმოუდგენელი უამინდობა და ქარიშხალი იდგა. რბოლის ერთ-ერთმა მონაწილემ ოლივიე დე კერსოსონმა განაცხადა: „ეს იყო ყველაზე მძიმე და საშინელი რბოლა ყველა მათგანიდან, რომლებიც კი ოდესმე გამიგია“.

20 ნოემბრიდან ა. კოლასთან გაწყდა ყოველგვარი რადიოკავშირი. საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა ვერ აღმოაჩინეს იგი, თუმცა გაფრენები სისტემატურად წარმოებდა.

მაგრამ იახტსმენები ჯერ კიდევ იმედიანად არიან. რბოლაში გამარჯვებულმა კანადელმა მაიკლ ბირჩმა ფრანგ გულშემატკივრებს განუცხადა ის, რისი მოსმენაც მათ სურდათ: „სიმართლე რომ ვთქვა, ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ არის კოლას პოვნის შანსები, ეტყობა, იგი განიცდის სიძნელეებს, მაგრამ ვერ გეტყვით რა სიძნელეებია ეს“.

ისინი, ვისაც არ უნდა დაიჯეროს კოლას დაღუპვა, იხსენებენ, რომ რადიოკავშირი ამ სპორტსმენთან ადრეც გაწყვეტილა 3 კვირით მისი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის დროს.

მაგრამ ამერიკის სატელეგრაფო სააგენტო იუპი-ს კორესპონდენტი სულ სხვაგვარად სვამს საკითხს: ღირს კი საერთოდ ამგვარ შეჯიბრებათა მოწყობა? მისი მონაწილეები ცდილობენ რაც შეიძლება გაამსუბუქონ თავიანთი იახტები, ამიტომ უარს ამბობენ სხვადასხვა მოწყობილობაზე, თუმცა ისინი უხიფათობისთვის აუცილებელია. ასე მაგალითად, ბერჩს „დაავიწყდა“ თან წაეღო განგაშის სიგნალები. სხვა იახტსმენებმა მოიმარაგეს სათადარიგო ბატარეები მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით, რის გამოც რადიოკავშირი მათთან არ იყო რეგულარული.

საიალქნო სპორტის ცნობილი ფრანგი მწვრთნელი ფილიპ ვიანე წერდა: „ზღვა ცირკი არაა! ამგვარ „ღონისძიებათა“ მონაწილეებმა მან შეადარა „პელებს, რომლებიც დაბრმავებულნი არიან ფულისა და დიდებისადმი სიყვარულით“.

„სპორტლოტოს“ 52-ე ტირაჟები

49-დან 6: **პირველი** — 16, 27, 29, 37, 39, 40. შეღავათიანი ბურთულა — 46; **მეორე** — 10, 23, 31, 36 39, 40. შეღავათიანი ბურთულა — 13.

36-დან 5: **პირველი** — 3, 10, 20, 24, 25; **მეორე** — 8, 14, 22, 30, 32.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 1979 წლის 1 იანვარს.

თხილამურები

მსოფლიოს თასისთვის მებრძოლმა სამთო მოთხილამურე ვაჟებმა მორიგი ეტაპის შეჯიბრება გამართეს იუგოსლავიაში, კრანსკა-გორას მიდამოებში. აქ ისინი ერთმანეთს შეეჯიბრნენ სპეციალურ და გიგანტურ სლალომში და ორივეჯერ წარმატება წილად ხვდა თასის სამგზის მფლობელს, შვედ ი. სტენმარკს. სპეციალური სლალომის 2 ცდის ჯამში მან 1 46,67 დახარჯა და 0,1 წამით ჩამოიტოვა პ. ფრომელტი (ლიხტენშტეინი), ხოლო გიგანტურ სლალომში ასევე 2 ცდის ჯამში 2 28.51 აჩვენა. 11 ადგილზე გავიდა წლევანდელი თასის გათამაშების ლიდერი პ. ლიუშერი (შვეიცარია) — 2 29.91.

ახლა, ლიუშერს 85 ქულა აქვს და 10 ქულით ასწრებს სტენმარკს, რომელიც ჯერჯერობით თავს არიდებს სწრაფდაშვებაში მონაწილეობას. III და IV ადგილზე არიან კანადელი კ. რიდი და შვეიცარიელი პ. მიულერი — 40 ქულა თითოეულს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი 380008 თბილისი ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99 58 14, 93 97 60; რედაქტორის მოადგილე — 99 58 47; პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, განყოფილებები: ფეხბურთის — 99 81 71, 93 97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93 97 56; სპორტის სახეობების — 93 97 61; მოსწავლეთა და ხალხის — 93 97 53, ქიდაობის — 93 97 20, სამხატვრო — 93 97-59; წერილების — 93 97 51; კორექტორების — 93 97 49; გამომცემლობა — 93 93 81; ფოტოლაბორატორია — 93 97 58; მემანქანეები — 93 97 57

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 02347